იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ

სპეშიალის სპა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი

№ 16 (134)

ოქტომბერი,

1965 წელი

ჭაობიდან საქართველოში



საქართველო, რომელიც წარსულში ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო, საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად გადაიქცა. აშენდა ახალი ინდუსტრიული ქალაქები, ქარხნები, ფაბრიკები, შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები. ზემო სურათზე თქვენ ხედავთ რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის ქ. ქუთაისის ცენტრალური მოედნის ერთ-ერთ კუთხეს, ხოლო ქვემოთ კი ასახულია რუსთავის — ქართველ მეფოლადეთა ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური პროსპექტი.





თბილისის ახალი ხიდი

საქართველოს დედაქალაქმა მშენებელთა შესანიშნავი საჩუქარი მიიღო. ეს არის ბარათაშვილის სახელობის ახალი ხიდი.


ორიარუსიანი ხიდის პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები შ. უავლაშვილი, ვ. ჭურთიშვილი და კონსტრუქტორი გ. ქარცივაძე. ზედა იარუსი, რომელიც ბარათაშვილის ქუჩის დონეზეა, განკუთვნილია ტრანსპორტის მოძრაობისათვის. სავალი ნაწილის სიგანე, ტროტუარების გარდა, 21 მეტრია, ხიდის სიგრძე 150 მეტრი. ეს თბილისის უდიდესი ხიდია. ხიდის ქვედა იარუსზე, რომელიც ხალხისათვის არის განკუთვნილი, შეიძლება მიწისქვეშა გადასასვლელით გახვიდეთ.

ხიდის მშენებლობის დროს გამოიყენეს უველაზე პროგრესული მასალები. ნაგებობის საძირკველი ეყრდნობა მტკვრის ფსკერზე ამოყვანილ რკინაბეტონის ხიმინჯებს. ხიდს ჩატანებული აქვს წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის კოჭები. ინტერიერი მოპირკეთებულია მინითა და ალუმინით.

* * *

სურათებზე თქვენ ხედავთ ბარათაშვილის სახელობის ახალ ხიდს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



„ქარქაშაძის ქვანახშირი“

ტყვარჩელი. ქვანახშირის გასაუქმებელი გვირაბების კუთხეებში დიდძალი ქვანახშირი რჩებოდა ხოლმე. მისი გამოტანა ფრიად საშიში გახლდათ და მრავალი ტონა სათბობი მეხუთე შახტის ლავებში რჩებოდა სამუდამოდ.

მაგრამ აი ქვანახშირი, რომელსაც წინათ გაუქმებულ კამერებში ტოვებდნენ ხოლმე, შავად მოელვარე ნაკადად დაიძრა. გრუნტის წყლის ძლიერი ჭავლი შორეული კუთხეებიდან ხვეტს ქვანახშირს და ტრანსპორტიორებთან გამოაქვს.

ახლა უველთვიურად დახურული კამერებიდან 500-600 ტონა ქვანახშირი გამოაქვთ. „მოდის ქარქაშაძის ქვანახშირი“, — ამბობენ მნგრეველები. ხალხის სამსახურში ჩააყენა სათბობის მოპოვების გადიდების კიდევ ერთი რეზერვი სანგრევის მაღაროელმა მუშამ, რაციონალიზატორმა ნოდარ ქარქაშაძემ.

სხვადასხვა

მოსავალს ადიდებენ...

ჯიათურა. 10 პროცენტით გადიდდა სამინდის მოსავლიანობა სოფლების ქვაციხისა და ნავარძეთის კოლმეურნეობების საცდელ ნაკვეთებში. აქ გამოიყენეს სასუქები, რომლებიც შეიცავენ მანგანუმს, ნიკელს და კობალტს. ეს სასუქები მიღებულია მანგანუმის მრეწველობის ნარჩენებისაგან. მათი მცირე დოზაც საკმარისია, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა საგრძნობლად გადიდდეს.

სასუქების გამოყენებით წელს სოფელ მეზრულის კოლმეურნეობამ 19,1 პროცენტით გაადიდა ჩაის მოსავლიანობა საცდელ ნაკვეთებში.

სადახლოს მარმარილო

მარნეული. კარგი სახელი მოიხვეჭა სადახლოურმა მარმარილომ. მას წარმატებით იყენებენ მოზაიკების, საფეხურების, იატაკის და კედლის მშენებლობებზე, აგრეთვე ასფალტისა და შუშის წარმოებაში.

სადახლოს მარმარილოს მაღაროთა-სამმართველოს კოლექტივი ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს წლიურ გეგმებს. მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში კოლექტივმა სამშობლოს მისცა 4.020 ტონა მარმარილოს ნამცეცი და 4.700 ტონა საშენი ქვა.

ახალი ქარხანა

ბათუმი. აქ ამუშავდა ახალი ღვინის ქარხანა, რომელიც საქართველოს ღვინის მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო იქნება.

ქარხანა წელიწადში გამოუშვებს 480 ათას დეკალიტრ ღვინოს, არაყსა და არყის ნაწარმს. ეს ორნახევარჯერ მეტია, ვიდრე ძველი ღვინის ქარხანა უშვებდა.

ახალ ქარხანაში მექანიზებულია ყველა საწარმოო პროცესი.

ქართული მარკით

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დემონსტრირებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომლებიც ქართველმა მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა შექმნეს. მანქანების უმრავლესობა შექმნილია საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში. მათ წარმატებით ჩაბარეს საწარმოო გამოცდები, ცხადყვეს, რომ მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა საიმედო თანაშემწენი არიან.

გრძელ რიგში ერთად ხაზად ჩამწკრივებულა ღრმადსაფხვიერებელი აგრეგატები, რომლებსაც სასუქების ზესატანი აპარატი აქვთ. ეს მანქანები გათვალისწინებულია ხეხილის ბაღებში მწკრივთშორისების დამუშავებისათვის და ამასთანავე ნიადაგში სჭელ ფენებად შეაქვთ სასუქების დიდი დოზები. ღრმადსაფხვიერებელი 15-20 პროცენტით ზრდის ბაღების მოსავლიანობას. აი მოდერნიზებული „ტ-75“ ტრაქტორი, რომელსაც კიდური აპარატი აქვს ნიადაგის გასაფხვიერებლად და ჩაის პლანტაციებში სასუქების შესატანად. ამ აგრეგატს იყენებენ ინგირის საბჭოთა მეურნეობაში და იგი დიდ საწარმოო ეფექტს იძლევა.

გამოფენის დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს ღია წითლად შეღებილი მანქანა „საქართველო“. ეს არის მეჩაიეობის მსოფლიო პრაქტიკაში პირველი მანქანა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საკრეფად. მანქანამ წარმატებით ჩააბარა გამოცდები. მექანიზატორები მანქანის დახმარებით დიდძალ ჩაის ფოთოლს კრეფენ, რომლის წარმოების თვითღირებულება ხუთჯერ დაბალია, ვიდრე ხელით მოკრეფილისა.

მებაღეებმა კარგი შეფასება მისცეს კულტივატორ-საფხვიერებელს მწკრივთაშორისების დამუშავებისათვის და ხეხილის ხისირგვლივი ჯამებისათვის. კულტივატორი აგრეგატდება „კდ-28“ და „დტ-54“ მარკის ტრაქტორზე. მანქანა გამოსცადეს ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში, გამოცდამ ცხადყო, რომ მანქანა ხუთჯერ ზრდის მებაღეთა შრომის ნაყოფიერებას.

ციტრუსოვანთა პლანტაციებისა და ხეხილის ბაღების მწკრივთაშორისების ხვნისათვის წარმატებით იყენებენ ბაგირისწევიან, ორკორპუსიან გუთანს, რომელიც ექსპონირებულია გამოფენაზე.

ახალი ელექტროსადგური რიონზე

კოლოსალურ ენერგეტიკულ შესაძლებლობებს შეიცავს ზემო დინებაში მქუხარე და ქვემოთ მდორე რიონი. მდინარე სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთების მყინვარებიდან, თანდათან ძალას იკრებს და 300 კილომეტრის მანძილზე შავი ზღვისაკენ მიაგორებს თავის ტალღებს.

1928 წელს რიონის ნაპირებზე მოვიდნენ მშენებლები. დაიწყო რიონჰესის მშენებლობა. ხუთი წლის შემდეგ ჰიდროელექტროსადგურმა დენი გამოუშვა.

ასე დაიწყო საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარის დამორჩილების ისტორია. შემდეგ რიონის ტალღებს გზა გადაუღობეს სხვა ორი ჰიდროელექტროსადგურის — გუმათისა და ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურების კაშხალებმა.

ახლა კი სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის და საპროექტო საძიებო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის განყოფილებაში დამთავრდა რიონის კასკადის ახალი საფეხურის — ნამახვნის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის შედგენა.

ტრადიციის შესაბამისად სადგურს მეზობლად მდებარე სოფლის სახელი დაერქმევა.

მომავალ წელს ნამახვნელები გახდებიან ახალი ჰიდროელექტროსადგურის დაბადების მოწმენი, რომელიც თავისი სიმძლავრით რიონზე დღემდე აშენებულ ყველა ჰიდროელექტროსადგურს გადააჭარბებს. ეს პირველი ელექტროსადგური რესპუბლიკის ენერგეტიკას შემატებს 480 ათას კილოვატს. წელიწადში იგი 1,8 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. წლის დრო ნაკლებ გავლენას მოახდენს ჰიდროელექტროსადგურის მუშაობაზე. მისი ტურბინები წელიწადში ხუთი ათასი საათის განმავლობაში იბრუნებენ. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენი ქვეყნის ჰიდროელექტროსადგურებს შორის.

160 მეტრი სიმაღლის თაღოვანი კაშხალი შექმნის ნამახვნის წყალსაცავს, რომლის ტევადობა 400 მილიონი კუბური მეტრი იქნება. მის ნაპირებზე შეიქმნება დასასვენებელი ადგილები ქუთაისელებისათვის. გარდა ამისა ქუთაისს ქვემოთ გათვალისწინებულია აიგოს ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის სამი საფეხური. ძიებანი წარმოებს მდინარის ზემო დინებაში“.

თვითრეგულატორი

სისხლის წნევის გადიდებამ შეიძლება მთელი რიგი მძიმე დარღვევანი გამოიწვიოს ორგანიზმში. მაგალითად, ფილტვების ჰიპერტონია იწვევს ერთობ რთულ შედეგებს. სისხლი, რომელიც დიდი დაწნევით მიედინება, ხეთქავს ალვეოლის კაპილარებს, სადაც მიმდინარეობს სისხლის ჟანგბადით გამდიდრება. ამის შედეგად ირღვევა ნივთიერებათა ცვლის პროცესები, შეიძლება განვითარდეს ფილტვების შეშუპება და ორგანიზმი იღუპება.

მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში წნევის ხელოვნური გადიდების დროს ფილტვში მეცნიერებს არ შეუმჩნევიათ ეს მძიმე მოვლენები. გადიდებული წნევა თანდათანობით თვითონ, გარედან ჩაურევლად, მცირდებოდა. გამოირკვა, რომ ჰიპერტონიის ზემოქმედებით სისხლძარღვთა ნაწილი გარდაქმნილა და თვითონ დაუწყია ფილტვის არტერიის განტვირთვა ჭარბი სისხლისაგან. ზოგიერთი სისხლძარღვი გაფართოებულა, კედლები გასქელებია და მათ უფრო აქტიურად დაუწყიათ ჭარბი სისხლის გადატუმბვა.


კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი თავისებურება: გარდა არსებულისა, ჩნდება ახალი სისხლძარღვებიც. ისინი წარმოიქმნებიან ჯერ კაპილარების სახით, შემდეგ კი იზრდებიან და ასრულებენ განტვირთვის იმავე ფუნქციებს. ამრიგად, იქმნება სისხლის მომარაგებისა და სისხლის წნევის თვითრეგულატორების შესაძლებლობა. „ზედმეტი“ სისხლი, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ორგანიზმის დაღუპვა, მიედინება გულისაკენ მიმავალ ფილტვების ვენებში ალვეოლის კაპილარების გვერდის ავლით.

ეს მექანიზმი, რომელიც აწესრიგებს სისხლის მაღალ წნევას ფილტვის სისხლძარღვებში, წარმოადგინა თ. ღიბრაძემ. მისი კვლევის შედეგები განზოგადებულია მონოგრაფიაში „ფილტვის ბრონქები და სისხლძარღვები“, რომელიც გამოუშვა გამომცემლობა „მეცნიერებამ“.

ავტომატები მართავენ

თბილისის ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებმა შექმნეს მთელი რიგი თუჯსადნობი აგრეგატების მუშაობის მართვის კომპლექსური ავტომატიზაციის სისტემა. ამ ავტომატიკას, რომელიც გათვალისწინებულია დნობის პროცესების მართვისათვის, შეადგენენ ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანები, რომლებსაც შეუძლიათ მათემატიკური გამოანგარიშების მეშვეობით სწრაფად განსაზღვრონ შრომატევადი მეტალურგიული პროცესების წარმართვის ყველაზე რაციონალური მეთოდები.

ქართველი სპეციალისტების მიერ შემუშავებული სისტემა საშუალებას იძლევა ზედმიწევნით ზუსტად წარვმართოთ ბოვში კოქსისა და ჰაერის მოწოდების პროცესები და დავზოგოთ სათბობი.



თბილისის კონიაკის ქარხნის პროდუქცია ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სხვადასხვა მარკის ქართულმა კონიაკმა ფართო აღიარება მოიპოვა მრავალ საერთაშორისო გამოფენასა და კონკურსზე, ბევრი მათგანი „ჩემპიონებიც“ გახდა და ოქროს მედლები დაიმსახურა.

სურათზე: თბილისის კონიაკის ქარხნის სა-ჩამოსხმო საამქროში.

გესარიონ ჟღენტი

პარიზული დღიურიდან

გასული წლის გაზაფხულზე ქართველ მწერალთა ჯგუფმა საფრანგეთში იმოგზაურა.

მე არ ჩამიწერია მოგზაურობის დღიურები. დაე, მხოლოდ ის შემოინახოს მეხსიერებამ, რაშაც დაუვიწყარი, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და რაც ურანაკერებოდაც ცხოვლად აღიბეჭდება და გარდაუვლად იცხოვრებს მნახველის სულიერ სამყაროში. ჩვენ კი ბევრი რამ ვნახეთ, გავიგეთ და გაგვიცადეთ ასეთი. ეგებ ოდესმე შევძლო კიდეც შთაბეჭდილებათა და გაცდათა ეს მდიდარი მარაგი გავუზიარო მკითხველ საზოგადოებას. ამჟამად კი მე მინდა გამოვყო და მოკლედ აღვწერო საფრანგეთში ჩვენი მოგზაურობის ერთი მომენტი — ჩვენი შეხვედრეი პარიზელ თაობამემამულეებთან — პარიზში მცხოვრებ ქართველებთან.

პარიზში მცხოვრები ქართველების რაოდენობა დაახლოებით ათას კაცს უდრის. ეს რიცხვი დაგვიახლესა პარიზელ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ ლევან ზურაბიშვილმა. იგი ნიკო ხიკოლაძის შვილიშვილია, უმცროსი ვაჟი მწერალ ივანე ზურაბიშვილისა, რომელიც 1940 წელს გარდაიცვალა პარიზში. გახათლებით ლევანი სამთამადნო ინჟინერია, პარიზის ერთ-ერთი მსხვილი საავტომობილო ქარხნის მთავარ ინჟინრად მუშაობს. პირველი გამოსაუბრებისთანავე ჭკვიანი, სერიოზული, სოლიდურად გახსწავლული კაცის შთაბეჭდილებას ახდენს, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნის და სწორედ როგორც უპარტიო, ყველაზე შესაფერის კანდიდატად მიუჩნევიათ თანამემამულეებს ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.

პარიზელი ქართველობის გარკვეულ ნაწილს შეადგენენ პოლიტიკური ემიგრანტები, რომლებიც საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვების გამო უცხოეთში გახიზნულ მენშევიკურ მთავრობას გაჰყვნენ და წლების მანძილზე აქტიურად იბრძოდნენ ჩვენი საბჭოთა სამშობლოს წინააღმდეგ, მათ საფრანგეთის მოქალაქეობა არ მიუღიათ, არც რაიმე პროფესიის შეუსწავლიათ, რადგან იმედოვნებდნენ, რომ მალე დაბრუნდებოდნენ სამშობლოში. ამიტომაც მათ რაიმე მნიშვნელოვან სახელმწიფო სამსახურში არ იღებდნენ და ისიხიც იძულებული არიან ტაქსის მძღოლებად იმუშაონ, ან მაწონი დაამზადონ და გაყიდონ. ან კიდევ წვრილ დუქნებსა და მაღაზიებში იმსახურონ. ნივთიერად ისინი არასახარბიელო მდგომარეობაში არიან, მაგრამ უფრო მწვავედ და მტკივნეულად სამშობლოსაგან მოწყვეტას, ახლობლებისა და ხათესაებისაგან დაშორებას, გაურკვეველ უერსპექტივო მდგომარეობაში ესოდენ ხასგრძლივად ყოფნას განიცდიან. პარიზელ ქართველთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარ გაოემოებათა გამო გადასვეწილან უცხოეთში. ზოგიერთები კი სრულიად უმიზეზოდაც. მაგალითად, ავინიონში ჩვენ შევხვდით ჭიათურის რაიონის სოფელ რგახიდან წასულ არისტო გველესიანს, რომელიც თავგადასავალის ძიებით ბავშვური გატაცების ხიადაგზე აჭყოლია თავის რომელიღაც თანაკლასელ მოწაფეს, გამოპარვია მშობლებს და საფრანგეთში გამოქცეულა. ახლა მას მაწვნის ქატარა ქარხანა აქვს ავინიონში, საკუთარი სახლიც შეუძენია და რამდენიმე ავტომანქანაც, მაგრამ ყოველივე ამას უყოყმანოდ და დიდი სიხარულით გაცვლიდა მშობლიური მიწა-წყლის ერთ დანახვაზე, სამშობლოში დარჩენილ ნათესავებთან და ახლობლებთან ერთს შეხვედრაზე.

საფრანგეთში მცხოვრები ქართველობის უმრავლესობა ის ახალგაზრდობაა, რომელიც ამ ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში უცხოეთში დაბადებულა და აღზრდილა. ისინი საფრახეთის მოქალაქეებად ითვლებიან. ბევრ მათგანს საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიუღია სპეციალური განათლება და მუშაობენ კიდევაც ექიმებად, არქიტექტორებად, ინჟინრებად, გეოლოგებად, აგრონომებად და სხვ. მათმა უმრავლესობამ კარგად იცის ქართული ენა, გამონაკლისს ამ მხრივ ის ახალგაზრდები შეადგენენ, რომლებსაც დედა არაქართველი ჰყავთ და ამიტომ ქართული არ იციან. ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ რამდენიმე ასეთ ახალგაზრდას. ისინი განსაკუთრებულ ინტერესსა და მისწრაფებას იჩენენ სამშობლოსადმი. მწვავედ განიცდიან ძიობლიური ენის უცოდინაობას, ეროვნული კულტურისაგან გამოთიშულობას და მგზნებარედ ოცნებობენ თავიანთი ცხოვრების ამ მტკივნეული ხარვეზის დაძლევასა და გადალახვაზე.

პარიზელ ქართველ ახალგაზრდობაში ბევრია ხიჭიერი, განათლებული ინტელიგენტი, სხვადასხვა ჰუმანიტარულ თუ ტექნიკურ მეცნიერებათა საუცხოო სპეციალისტი, რომლებიც ფხიზლად აფასებენ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას, ძალთა ურთიერთ შეფარდებას მსოფლიოში, კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ტენდენციებსა და პერსპექტივებს. უეჭველია, მათი უმრავლესობა ადრე თუ გვიან სამშობლოში ჰპოვებს თავისი ცოდნისა და ნიჭიერების გამოყენების ნაყოფიერ სარბიელს და თვალსაჩინო წვლილსაც შეიტანს ჩვენი ქვეყნის [illegible]

პარიზში გატარებული რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ ვხვდებოდით იქაურ თანამემამულეებს. ეს შეხვედრები ხან კერძო და პირადი ხასიათისა იყო, ხან კი უფრო „მასიური“ თუ „კოლექტიური“. ვიყავით ზოგიერთი მათგანის ოჯახებშიც, სადაც წრფელი ქართველური სტუმართმოყვარეობით გვიწვევდნენ და გვხვდებოდნენ. საფრანგეთში ჩვენი ჩასვლის მეორე დღესვე — კვირა დღეს ქართულ ეკლესიაში შეკრებილთ გაეგოთ ჩვენი პარიზში ყოფნა. ეს პატარა ეკლესია ერთადერთი თავშესაკრები ადგილია პარიზელი ქართველებისათვის. სხვა რაიმე დაწესებულება — კლუბი ან საკრებულო ადგილი მათ არ გააჩნიათ. ამიტომ ერთმანეთთან შეხვედრის სურვილს პარიზელი ქართველები კვირაობით ამ ეკლესიაში მოჰყავს, სადაც ისინი იკრიბებიან, რა თქმა უნდა, არა იმდენად ღმერთმსახურების მიზნით, არამედ იმისათვის, რომ წირვის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს ესაუბრონ და ზოგჯერ ეკლესიის პატარა ეზოში კრებებიც გამართონ ლები გვასვირნებდნენ პარიზის გარეუბნებში, გვიპატიჟებდნენ ოჯახებში, გვაცნობდნენ თავიანთი მუშაობისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს.

ბოლოს, საფრანგეთიდან გამომგზავრების წინა საღამოს პარიზელმა თანამემამულეებმა დიდი შეხვედრა გაგვიმართეს ერთ-ერთ ძიდიდრულ რესტორანში. შეხვედრას დაახლოებით ხსრ-მდე ქართველი ესწრებოდა. იგი ჩვენს პატივსაცემად გამართა პარიზის ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირმა. ჩვენ განგვიმარტეს, რომ ამ კავშირით სამასი კაცია გაერთიანებული — თითქმის იმდენივე, რამდენი წევრიც საქართველოს მწერალთა კავშირი ირიცხება. თუ გავითვალისწინებთ, რომ პარიზში ცხოვრებ ქართველთა რაოდენობა ათას კაცამდე აღწევს და ამ რაოდენობის გარკვეულ ნაწილს დიასახლისეი, ბავშვები და ქართული ენის არამცოდნე შედგენენ, უნდა დავასკვნათ, რომ პარიზელ ქართველთა დიდ უმრავლესობას თავის მოწოდებად მწერლობა და ჟურნალისტიკა მიაჩნია. თუმცა მათ ბორის მოწოდებით მწერალი და ჟურნალისტი თითებზე ჩამოსათვლელი თუ იქნება. ხსენებული კავშირის თავმჯდომარეა რევაზ გაბაბაშვილი, ჩვენი სახელოვანი მწერალი ქალის ეკატერინე გაბაბაშვილის შვილი, რომელიც მენშევიკურ საქართველოში თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწედ ითვლებოდა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყველაზე მემარჯვენე ფრთას ეკუთვნოდა.

ახლა იგი ღრმად მოხუცებულია და პოლიტიკურ სარბიელს ჩამოცილებული, უპირატესად ქართული კულტურის მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებს ამუშავებს. ჩვენთან შეხვედრის საღამოს იგი არ დასწრებია. ძის მაგივრად ძისი მოადგილე პოეტი გიორგი ყიფიანი გვმასპინძლობდა და აგრეთვე ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე ლევან ზურაბიშვილი, რომლის ბესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ჩვენი ეს შეხვედრა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რესტორანში გაიმართა და გარეგნულად ნადიმის ხასიათს ატარებდა, მაგრამ ეს როდი იყო ჩვეულებრივი ნადიმი და ამის ხასიათს ბოლოს და ბოლოს ერთი სიტყვა ლხინი და გართობა, ეს იყო გულითადი, ფრიად შინაარსიანი და საგულისხმო საუბარი, რომელიც შეეხებოდა ქართველი ხალხის დღევანდელ ცხოვრებასა და მის მომავალს, ქართული მწერლობის, ხელოვნებისა და მეცნიერების მდგომარეობას.

მაღალი პატრიოტული გრძნობით იყო გამსჭვალული სუფრაზე წარმოთქმული სადღეგრძელოებიც და ჩვენი პოეტების თუ პარიზელ ქართველ მგოსანთა მიერ წაკითხული ლექსებიც. აძ უკანასკნელთა ლექსებში ძკაფიოდ გამოსჭვივოდა სამშობლოსადმი გადახვეწილობით და დაძორებით გამოწვეული მწვავე სევდა და გულისტკივილი.

გვიან ნაშუაღამევს დამთავრდა ჩვენი ეს შეხვედრა, დამთავრდა გულითადი დამშვიდობებით, კვლავ ერთმანეთთან მალე შეხვედრების სურვილით, სამახსოვრო საჩუქრების ეოთძაეთისათვის გადაცვით. ოფიცრებმა აეროდრომზეც კი გამოგვაცილეს. მათ შორის იყო შოთა აბაძიძე (საჩხერის რაიონის სოფელ ჭალიდან), რომელიც ქართულ ცეკვებს ასწავლის პარიზელ ქართველ ახალგაზრდობას. ძმებმა კობახიძეებმა გვიამბეს, რომ შოთა აბაშიძის მიერ ხასწავლი ცეკვებით მათ საგაასტროლოდ შეძოიარეს ევროპის მრავალი ქალაქი და ყველგან დიდი წარმატება მოიპოვეს.

პარიზელ თანამემამულეებთან ჩვენი შეხვედრები გულითადობის, კეთილმოსურნეობის, ურთიერთ პატივისცემის ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ამ შეხვედრებში არაფერი იყო არა თუ მტრული და ანტაგონისტური, არამედ მწვავედ პოლემიკურიც კი. ყველაფერში იგრძნობოდა, რომ უკანასკნელ წლებში უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთა დიდი უმრავლესობის აზროვნებასა და განწყობილებაში სერიოზულ ძვრებსა და ცვლილებებს აქვს ადგილი.

შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ამჟამად პარიზში არსებითად აღარც კი არსებობს ქართული პოლიტიკური ემიგრაცია. ქართული მენშევიზმის და სხვა ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების მესვეურთაგან თითქმის აღარავინაა ცოცხალი. ყველა ისინი იმედგაცრუებულნი და სასოწარკვეთილნი მიებარნენ უცხოეთის მიწას. უცხოეთში გახიზნული მენშევიკური მთავრობის ორიოდე წევრიღაა დარჩენილი, რომელთაც აღარც ძალ-ღონე და ენერგია ჰყოფნით, აღარც გავლენა და ავტორიტეტი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისათვის.

ნომინალურად პარიზში არსებობს მენშევიკების, ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების პარტიული ორგანიზაციები. ყოველი მათგანი დროგამოშვებით, წელიწადში ერთხელ თუ ორჯერ სცემს თავის პატარა ჟურნალს თუ ბროშურას, რომელთა მკითხველების რიცხვიც რამდენიმე ათეული კაცით განისაზღვრება. ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ რამდენიმე კაცს, რომლებიც [illegible] ვიანთი პოზიციის საფუძვლიანობას და [illegible], და, ცხადია, არც შეეძლოთ ვინმე დაარწმუნონ და გაიყოლიონ.

იშვიათი გამონაკლისების გარდა, პარიზში მცხოვრები ქართველობის აბსოლუტური უმრავლესობა საბოლოოდ გამოფხიზლებული და განკურნებულია რესტავრატორული ილუზიებისაგან, ყალბი, რეაქციული პოლიტიკური იდეალებისაგან, სავსებით გულგრილია ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების ნარჩენების საქმიანობისადმი და ჩამოშორებულია ამ საქმიანობას.

პარიზელ ქართველთა უმრავლესობა ახლა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებს ეწაფება, კულტურულ-შემოქმედებითს მოღვაწეობას ეწევაფის. ქართველ მკითხველ საზოგადოებას უკვე აქვს ვარმოდგენა იმ შემოქმედებითი მუშაობის შესახებ, რომელსაც ეწევა პარიზელ მხატვართა ჯგუფი. ამ საკითხზე ქართულ ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებულმა ხელოვნებათმცოდნეთა ლებანი კიდეც ჰპოვებენ სათანადო გამოხმაურებას. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ეს გამოხმაურება, მაინც უდავო და უეჭველია, რომ ვ. ნოზაძეს თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ქართული პოეტური გენიის იმ უმაღლესი გამოვლინების ყოველძხრივად შესწავლა-გაშუქების საქმეში. მომხიბვლელია და დიდად დასაფასებელი ის იშვიათი თავდადება, რომლითაც ვ. ნოზაძე ეწევა ამ შრომას, რომელიც მას ახლა თავისი ცხოვრების მთავარ აზრად გაუხდია. იგი არამც თუ რაიმე მატერიალურ ანაზღაურებას არ მოელის ამ დიდი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობისთვის, არამედ თავისი ხელით აწყობს, ბეჭდავს და კინძავს ამ ვრცელი გამოკვლევის სქელტანიან ტომებს, თვითონვე ზრუნავს შრიფტისა და ქაღალდის შეძენისათვის, გამოცემის გავრცელებისათვის, გამოცემისა, რომლის მკითხველთა წრე და, მაშასადამე, ტირაჟიც მეტად შეზღუდული და მცირერიცხოვანია.

ვ. ნოზაძე სცემს ალმანახს „კავკასიონს“. ამ ალმანახის გამოცემა დიდი ხნით შეწყვეტილი ყოფილა და მხოლოდ ახლახან განუახლებიათ. გასულ წელს გამოიცა „კავკასიონის“ მეცხრე ნოეფი.

„კავკასიონის“ ხსენებულ ნომერში გამოქვეყნებულ მასალებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას და მოწონებას იმსახურებს გიორგი ნოზაძის ვრცელი ნარკვევი „ივერიელთა მონასტერი ათონზე“. ავტორს სპეციალურად უმოგზაურია საბერძნეთში, დაწვრილებით დაუთვალიერებია ათონის ივერიელთა მონასტერი და ღრმა ცოდნით, დაკვირვებით, ყოველმხრივი გაშუქებით აღუწერია ძველი ქართული კულტურის ეს ერთ-ერთი შესანიშნავი კერა.

ნარკვევი დაწერილია კარგი გემოვნებით, საუცხოო ქართული ენით. ეს ნაწარმოები შეიძლება დაბეჭდილიყო ყოველ სოლიდურ ლიტერატურულ გამოცემაში. მისი დიდი ღირსება ის არის, რომ მასში ნატამალიც არ არის წვრილმანი პოლიტიკანობისა, იმ უაზრო და უნაყოფო დემაგოგიისა, რომელიც ხშირად გვხვდება „კავკასიონის“ ფურცლებზე. ჟურნალში მოთავსებულ ნეკროლოგებში, ზოგიერთ კრიტიკულ წერილსა, ლექსსა და სხვა ხასიათის მასალებში მკაფიოდ გამოხატული დრომოჭმული, იაფფასიანი და უაზრო ანტისაბჭოური გამოხდომები, ცხადია, ამდაბლებენ ამ გამოცემის ლიტერატურულ ღირებულებას და ვერც ამ მასალათა ავტორების შემოქმედებითს უმწეობას ფარავენ.

პარიზში მცხოვრებ ქართველთა კულტურულ მოღვაწეობას ერთი სერიოზული ხარვეზი გააჩნია. მათ არ უცდიათ ან ვერ მოუხერხებიათ საქმიანი კავშირ-ურთიერთობის დამყარება საფრანგეთის ძეცნიერულ და ლიტერატურულ წრეებთან იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოთ ქართული კლასიკური და თანამედროვე კულტურის მიღწევათა ფრანგულად თარგმნისა და ევროპაში პოპულარიზაციისათვის. ამ მიმართულებით პარიზელ ქართველებს შეუძლიათ დიდი სარგებლობა მოუტანონ ჩვენს ეროვნულ კულტურას.

* * *

პარიზში ჩასვლისთანავე გიორგი ნოზაძისაგან გავიგე, რომ ერთ ქართულ ოჯახში ინახება დღემდე უცნობი კოლექცია აკაკი წეროთლის წერილებისა ცოლისა და შვილისადმი. 1943 წელს საფრანგეთში გარდაიცვალა აკაკის ვაჟი ალექსი, რომლის პირად არქივშიც დაცული ყოფილა დიდი პოეტის ხელით რუსულად დაწერილი ჟს-მდე პირადი ჯერილი თავისი მეუღლისა და ვაჟიშვილისადმი. ჩვენ, ცხადია, დიდად დაგვაინტერესა ამ ცნობამ. როგორიც არ უნდა ყოფილიყო ამ წერილების ძირითადი შინაარსი, ჩვენი დიდი ეროვნული პოეტის ხელით დაწერილი ესოდენ მრავალრიცხოვანი დოკუმენტი თავისთავად უნდა მიგვეჩნია ძვირფას ისტორიულ-ლიტერატურულ განძად, იშვიათ რელიქვიად, ჩვენ ვთხოვეთ გ. ნოზაძეს გამოეკვეია ესეც აძლევლეობა რაიმე სახით ამ ჯერილების ასლის გადაღებისა, სამშობლოში წაღებისა და გამოქვეყნების მიზნით, იმ ძიზნით, რომ ეს ხელნაწერები კუთვნილებისამებრ ეეერთეოდა უკვდავი პოეტის დიდ ლიტეოატურულ ემკვიდრეობას და ხელძისაწვდომი გაძხდარიყო როგოოც მკვლევარ-სპეციალისტთა ჯრისათვის, ისე მკითხველთა ფართო ფენებისათვის.

პარიზიდან ჩვენი გამომგზავრების წინა საღამოს, თავის პატარა საბაყლო სავაჭროში მიძიწვია ვალიკო ჩუეინიძემ, რომელსაც ბავშვობის ჯლებში ვიცნობდი, როგორც ჩემს თანასოფლელს. იგი ჭიათურის მარგანეცის წარმოებაში მუშაობდა ვაგონების მტვირთავ მუშად, მეხშევიკური პარტიის ყვარი იყო და მენშევიკური ყყობილების ჯლებში ე. წ. „სახალხო გვარდიაში“ მაძაჯურობდა. საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვებისა და მეხშევიკური ძთავრობის უცხოეთში გახიზვნის ეემდეგ ერთ ხანს ძოთაწილეობდა ახალგაზრდა საბჭოთა რესაუბლიკის წინააღმდეგ მიძართულ არალეგალურ მუშაობაში. 1924 წელს, აგვისტოს ანტისაბჭოთა ავანტიურის დამარცხების შემდეგ, მოახერხა უცხოეთში გაქცევა და შეუერთდა პარიზის მენშევიკურ ემიგრაციას.

მას გაეგო ჩემი პარიზში ჩასვლა და, ცხადია, მოუსურვებია ჩემთან შეხვედრა, საუბარი ჩვენი სოფლის დღევანდელი ცხოვრების შესახებ, მისი ხათესავებისა და ახლობლების, ჩვენი საერთო ნაცნობების შესახებ. ვ. ჩუბინიძესთან მისვლისას მე და ეთერ გუგუშვილს დავგხვდა ორი ქართველი, რომელთაც გვთხოვეს გაგყოლოდით მათ მახლობელ კაფეში, სადაც, როგორც მათ გვითხრეს, ფრიად სერიოზული საქმის გამო გველოდებოდნენ. კაფეში რამდენიმე ქართველი დაგვხვდა. მათ შორის იყო მიხეილ სტურუაც, რომლის ოჯახში ყოფილა დაცული აკაკის წერილების ხსენებული კოლექცია. ახლად გაცნობილმა ქართველებმა მითხრეს, რომ ისინი დაინტერესებული არიან, რათა საქართველოს არ დაეკარგოს ქართული მწერლობის ისტორიისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საგანძური. დიდი ხანია განტერატურულ თუ სამეცნიერო დაწესებულების და ცირსეული დგრეში მიეცეთ ქართული კლასიკური მწერლობის ისტორიის პირველწყაროთა შორის. მე გულითადი მადლობა მოვახსენე მასპინძლებს ასეთი ნდობისათვის, უფრო კი იმისათვის, რომ გულმოდგინებით დაიცვეს და პოეტის ეს მემკვიდრეობა და კუთვნილებისამებრ გადმოუშვნენეს იგი სამშობლოს. სათანადო ხელწერილიც მივეცი მათ და ჩავიბარე ძვირფასი განძი. ამ საუბარში, სხვათა შორის, გამოირკვა, რომ საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა ოჯახებში ინახება მრავალი ისეთი უნიკალური ნივთი, თუ წერილობითი დოკუმენტი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული კულტურის ისტორიისათვის. გამოითქვა იმის სურვილიც, რომ გამოინახოს შესაფერი გზები და საშუალებანი სამშობლოში ამ ისტორიულ ფასეულობათა დაბრუნებისათვის.

ბენ კიდეცაც ექიმებად, არქიტექტორებად, ისტორიკოსებად, ფილოლოგებად. ამბობენ, ასეთი ადამიანები ჩვენ ყველგან გვყავსო. ეს ასეა ბაბად და სხვ. მათმა უმრავლესობამ კარგად იცის ქართული ენა, გამონაკლისს ამ მხრივ ის ახალგაზრდები შეადგენენ, რომლებსაც დედა არაქართველი ჰყავთ და ამიტომ ქართული არ იციან. ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ რამდენიმე ასეთ ახალგაზრდას. ისინი განსაკუთრებულ ინტერესსა და მისწრაფებას იჩენენ სამშობლოსადმი. მწვავედ განიცდიან ძაობლიური ენის უცოდინაობას, ეროვნული კულტურისაგან გამოთიშულობას და მეზნებარედ ოცნებობენ თავიანთი ცხოვრების ამ მტკივნეული ხარვეზის დაძლევასა და გადალახვაზე.

პარიზელ ქართველ ახალგაზრდობაში ბევრია ხიჭიერი, განათლებული ინტელიგენტი, სხვადასხვა ჰუმანიტარულ თუ ტექნიკურ მეცნიერებათა საუცხოო სპეციალისტი, რომლებიც ფხიზლად აფასებენ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას, ძალთა ურთიერთ შეფარდებას მსოფლიოში, კატაბრიობის განვითარების თანამედროვე ტენდენციებსა და პერსპექტივებს. უეჭველია, მათი უმრავლესობა ადრე თუ გვიან სამშობლოში ჰპოვებს თავისი ცოდნისა და ნიჭიერების გამოყენების ნაყოფიერ სარბიელს და თვალსაჩინო წვლილსაც შეიტანს ჩვენი ქვეყნის [illegible]

პარიზში გატარებული რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ ვხვდებოდით იქაურ თანამემამულეებს. ეს შეხვედრები ხან კერძო და პირადი ხასიათისა იყო, ხან კი უფრო „მასიური“ თუ „კოლექტიური“. ვიყავით ზოგიერთი მათგანის ოჯახებშიც, სადაც წრფელი ქართველური სტუმართმოყვარეობით გვიწვევდნენ და გვხვდებოდნენ. საფრანგეთში ჩვენი ჩასვლის მეორე დღესვე — კვირა დღეს ქართულ ეკლესიაში შეკრებილთ გაეგოთ ჩვენი პარიზში ყოფნა. ეს პატარა ეკლესია ერთადერთი თავშესაყრები ადგილია პარიზელი ქართველებისათვის. სხვა რაიმე დაწესებულება — კლუბი ან საკრებულო ადგილი მათ არ გააჩნიათ. ამიტომ ერთმანეთთან შეხვედრის სურვილს პარიზელი ქართველები კვირაობით ამ ეკლესიაში მოჰყავს, სადაც ისინი იკრიბებიან, რა თქმა უნდა, არა იმდენად ღმერთმსახურების მიზნით, არამედ იმისათვის, რომ წირვის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს ესაუბრონ და ზოგჯერ ეკლესიის პატარა ეზოში კრებებიც გამართონ სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების განსახილველად.

ცნობას პარიზში ქართველი მწერლების დიდი ჯგუფის ჩასვლის შესახებ, ბუნებრივია, ცხოველი ინტერესი გამოუწვევია ეკლესიაში შეკრებილ ქართველობაში. ეს პირველი შემთხვევა იყო საფრანგეთში ქართველ მწერალთა ასე ერთობლივი ჩასვლისა. ინტერესს ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ ჩვენ არა თუ გავურბოდით პარიზელ თანამემამულეებთან შეხვედრებს და საუბრებს, არამედ პირიქით, მზად ვიყავით ფართო ინფორმაცია მიგვეწოდებინა მათთვის საბჭოთა საქართველოს დღევანდელ სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაზე, სამშობლოში დარჩენილი მათი ხათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების შესახებ, მათთვის საინტერესო ყოველგვარ საკითხზე. კვირა საღამოს ჩვენი პატარა სასტუმროს ვესტიბიული აივსო ჩვენთან შესახვედრად მოსული ქართველობით. ზოგი მათგანი რომელიმე ჩვენგანის პირადი ნაცნობი იყო, ყოფილი თანაკლასელი თუ თანაკურსელი, მეზობელი თუ ამხანაგი, რომლებიც ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში აღარ გვენახა და აღარც მიმოწერა, ან სხვა სახის ურთიერთობა გვქონია მათთან.

ჩვენ შევთავაზეთ სტუმრებს მათთვის საგანგებოდ წაღებული „ვეფხისტყაოსნისა“ და „დედა ენის“ ეგზემპლარები, ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა წიგნები, საქართველოს ბუნებისა და მისი დღევანდელი ცხოვრების ამსახველი ფოტოალბომები, ფირფიტები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო ქართული სიმღერები, ქართული ხალხური თუ აკადემიური მუსიკის ნიმუშები. ამ იმპროვიზებულ შეხვედრაზე ლექსები წაიკითხეს კარლო კალაძემ და იოსებ ნონეშვილმა. გივი გაჩეჩილაძემ შეკრებილთ წაუკითხა ლადო ასათიანის პატრიოტული ლირიკის რამდენიმე ნიმუში. წრფელი მღელვარებით ისმენდნენ ჩვენი სტუმრები ამ ლექსებს, რომლებიც მეტყველად აცოცხლებდნენ მათს ცნობიერებაში სამშობლოს სახეს, საქართველოს დღევანდელ ყოფას, ქართველი ხალხის აზრებისა და გრძნობების სამყაროს, მის სულიერ ცხოვრებას. ჩვენთვის დიდად სასიხარულო იყო იმისი ხილვა, თუ როგორ კიაფობდა თანამემამულეთა თვალებზე ამ ლექსებით გამოწვეული ცრემლები — სიხარულის თუ სინანულის, მშობელი ქვეყნის ხილვის წრფელი და მგზნებარე წყურვილის მომასწავებელი ცრემლები.

შოთა ძიძიგურისა და ჩემი გამოსვლების საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში ვიქტორ ნოზაძემ აღნიშნა, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველები შეუნელებელი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს საბჭოთა საქართველოს ცხოვრებას, კერძოდ, ქართული მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერების განვითარებას და ამ თვალსაზრისით მათთვის დიდად საინტერესო და სასარგებლოა ქართველ მწერლებთან ასეთი ცოცხალი და უშუალო შეხვედრა, აზრთა და შეხედულებათა ურთიერთგაზიარება. ჩვენი ეს გულთბილი შეხვედრა შემდეგ გაგრძელდა სახელგანთქმულ კაფე „როტონდაში“, სადაც პარიზელმა მასპინძლებმა მიგვიწვიეს. საუბარი შეეხებოდა ქართული მწერლობის, თეატრის, კინემატოგრაფიის, მხატვრობის, მუსიკის დღევანდელ მდგომარეობას, კულტურულ-სამეურნეო დაწესებულებათა, გამომცემლობათა, ჟურნალ-გაზეთების რედაქციათა მუშაობას. მასპინძლები გვეკითხებოდნენ თავიანთი ნათესავების, მეგობრებისა და ნაცნობების შესახებ. შემდეგ გვიან ღამით ისინი გვათვალიერებინებდნენ ღამის პარიზს მისი ყველა დამახასიათებელი თავისებურებითა და გასაოცარი კონტრასტებით. სხვათა შორის, ღამის პარიზში ამ მოგზაურობისას საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი ღირსშესანიშნაობის — პარიზის პანთეონის მახლობლად გიორგი ნოზაძემ მიჩვენა კედელი, რომელზეც პირველ მსოფლიო ომის წინ საფრანგეთში მყოფ პაოლო იაშვილს ქართულად წაუწერია: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ ამ წარწერას თითქმის ნახევარ საუკუნის განმავლობაში გაუძლია ქარ-წვიმისათვის, ეხლა კი მისი კვალი ოდნავ შეიმჩნევა და ამოიკითხება.

ასე დაიწყო ჩვენი შეხვედრები პარიზელ თანამემამულეებთან. შემდეგ კი საფრანგეთში ჩვენი ხანმოკლე ყოფნის განმავლობაში ტურისტული პროგრამისაგან თავისუფალ თითქმის მთელ დროს მათს გარემოცვაში ვატარებდით. მასპინძლებიც ხშირად გვესტუმრებოდნენ სასტუმროში, სადაც ხშირად ვმართავდით ხოლმე ლიტერატურულ საღამოებს. ასეთი საღამო გაიმართა ჩვენ ბინაზეც. ამ საღამოზე ჩვენ წავიკითხეთ ნაწყვეტები ჩვენი ახალი ნაწარმოებებიდან. ეს საღამოც ძალიან ცოცხალი და საინტერესო გამოდგა. ჩვენ ვიგებდით, რომ ჩვენი მასპინძლები ამ საღამოსთვის ემზადებოდნენ, ამზადებდნენ ლექსებს, პროზაულ ნაწყვეტებს, ამოწმებდნენ ხოლმე ხან ამა თუ იმ სიტყვის ან გამოთქმის სისწორეს, ხან ამა თუ იმ ფრაზის ან ლექსის ფორმას. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ ჩვენს მასპინძლებს ძალიან ძვირფასი ჰქონდათ ჩვენთან შეხვედრა და ჩვენი ნაწარმოებების მოსმენა. ამ საღამოზე ჩვენ ვიგებდით, რომ ჩვენი მასპინძლები ამ საღამოსთვის ემზადებოდნენ, ამზადებდნენ ლექსებს, პროზაულ ნაწყვეტებს, ამოწმებდნენ ხოლმე ხან ამა თუ იმ სიტყვის ან გამოთქმის სისწორეს, ხან ამა თუ იმ ფრაზის ან ლექსის ფორმას. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ ჩვენს მასპინძლებს ძალიან ძვირფასი ჰქონდათ ჩვენთან შეხვედრა და ჩვენი ნაწარმოებების მოსმენა. ამ საღამოზე ჩვენ წავიკითხეთ ნაწყვეტები ჩვენი ახალი ნაწარმოებებიდან. ეს საღამოც ძალიან ცოცხალი და საინტერესო გამოდგა.

ქართული სცენის დიდოსტატი

აკაკი ხორავას დაგადეგის 70 წლისთავის გამო



ოციანი წლები იყო. ალექსანდრე ახმეტელი ჩვენთან მოვიდა თეატრალურ სტუდიაში. „ცხვრის წყაროს“ დადგმით გამოწვეული აპლოდისმენტები ჯერ დამცხრალი არ იყო, როცა კოტე მარჯანიშვილმა ახმეტელს ოსკარ უაილდის „სალომეას“ დადგმა მიანდო. და სანდრომაც სტუდიას მოაკითხა, რომ სტუდიელებში მოენახა იოქანაანის როლის შემსრულებელი. საჭირო იყო ძლიერი ხმის მფლობელი მსახიობი. არჩევანი ხორავაზე შეჩერდა. აქედან დაიწყო აკაკი ხორავას მსახიობური კარიერა. ამის შემდეგ ხორავა ახმეტელის საყვარელი მსახიობი გახდა.

სანდრო ახმეტელის მეთოდს, მუშაობის სტილს, თუ გინდათ მის პრინციპულ შეხედულებებს უპასუხებდა აკაკი ხორავას მსახიობური მონაცემები. როგორც ჩანს, ყოველ დიდ რეჟისორს თავისი მსახიობი ჰყავს. მარჯანიშვილს, მაგალითად, უშანგი ჩხეიძე სწვამდა. ალბათ სტანისლავსკის, მეიერხოლდს, ვახტანგოვს, ტაიროვს ჰყავდათ თითო მსახიობი, რომელიც მათი სულისკვეთების ყველაზე მკაფიო გამომახველი იყო. ახმეტელის ყველა შესანიშნავ დადგმაში აკაკი ხორავა მთავარ როლს ასრულებდა.

გავიხსენოთ „ანზორი“. აკაკი ხორავამ ანზორის დაუვიწყარი გმირული სახე შექმნა. რამდენმა ქართველმა დედამ თავის შვილს ანზორი უწოდა. ახლა ძალიან ბევრნი არიან ქართველი ანზორები. ეს აშკარად ანზორის როლის კარგის შესრულების შედეგია, სპექტაკლის წარმატების შედეგია. ახმეტელის დადგმებში „ლამარა“ ზურმუხტის მძივივით ელვარებს. აქ ხორავას იჩო ბრწყინვალეა. საქვეყნოდ განთქმულია ახმეტელის დადგმა „ინ ტირანოს“. ხორავას კარლოსი შესანიშნავი იყო. რომელი როლი იყო, რომელიც არ დაამშვენა თავისი ნიჭიერებით აკაკი ხორავამ. განა „რღვევაში“ ცუდი ბერსენევი იყო, ან გავიხსენოთ მისი ივანე მრისხანე და სხვ.

ყველაფერს თავი დავანებოთ და შევჩერდეთ „ოტელოზე“. ძალიან ძნელი სათქმელია, ოტელომ ხორავა დაამშვენა თუ ხორავამ ოტელო. აქ დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. აკაკი ნამდვილი ოტელო იყო, საქვეყნოდ განთქმული ოტელო.

აკაკი ხორავა განწყობილების მსახიობია. ზოგიერთი მსახიობი არა მარტო ტექსტს იზეპირებს, არამედ იზეპირებს სცენური მოძრაობის, მიზანსცენის ყოველ დეტალს. ასეთ მსახიობზე იტყვიან, ტექნიკურად ძლიერიაო. ხორავა ზოგჯერ ოტელოს არ თამაშობდა მთელი დაძაბულობით. მაშინ შთაბეჭდილებასაც ნაკლებს ახდენდა. ზოგჯერ კი მისი ოტელო მწვერვალს აღწევდა. ის იყო შეუდარებელი. ჭარიშხალივით მძვინვარე იჭვიანობისას და ყვავილივით ნაზი სატრფიალო სცენებში. ეს მოწმობს იმას, რომ ცოცხალ თეატრალურ ხელოვნებას ვერაფერი შეედრება, ვერც კინო და ვერც ტელევიზია.

ვასო პატარაია.

დიდი ხელოვანი

გულახდილად უნდა გითხრათ, ძვირფასო აკაკი ალექსის-ძევ, რომ კარგა ხანია თეატრიდან არ გამომყოლია ისეთი დიდი, სულის განმაახლებელი სიხარული, როგორიც გუშინ თქვენმა ოტელომ მომანიჭა... კარგა ხანია! შესაძლებელია, ალბათ ახალგაზრდა შალიაპინის დროიდან.

მადლობას მოგახსენებთ ამ სიხარულისათვის. მაგრად გართმევთ ხელს თქვენ და თქვენს პარტნიორს — ა. ა. ვასაძეს — დიდებულ იაგოს. ორივეს მდაბლად თავს გიკრავთ, ხოლო თქვენ, თქვენი ოტელოსათვის, თვით მიწამდე გიხრით თავს.

ვასილ კაჩალოვი.

დიდად მახარებს და სიამაყეს მგვრის ჩვენი საბჭოთა ხელოვნება, რადგან მის სახელოვან მოღვაწეთა შორის ვხედავ აკაკი ხორავას.

კონსტანტინე ფედინი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. ხორავას ოტელო — ეს არის ახალი დიდი თავი შექსპირის მიერ შექმნილი გრანდიოზული სახის ამოხსნის ისტორიაში.

ყველას, ვინც სისტემატურად მუშაობს შექსპირის ნაწარმოებებზე, ზოგჯერ სკეპტიკურად ეჭვი ეპარება: უფრო მაღლა ხომ არ დგას შექსპირი კითხვისას. ვიდრე, ვთქვათ, სცენაზე? შეუძლია კი საერთოდ თეატრს თავისი თვით უმაღლესი მიღწევებით გამოსცეს შექსპირული სახეთა მონუმენტური მასშტაბურობა. გავიხსენოთ, რომ გასული საუკუნის ცნობილი ინგლისელი კრიტიკოსი ჩარლზ ლემი და ინგლისური შექსპირმცოდნეობის ერთერთი კორიფე ბრედლეი ამ აზრით არასცენიურ მწერლად თვლიდნენ შექსპირს. ხორავას შესრულება ამ კითხვაზე იძლევა გარკვეულ პასუხს — დიახ, თეატრს შეუძლია გადმოსცეს ეს მონუმენტური მასშტაბურობა და ზოგჯერ უკეთესი სახეც კი შექმნას, ვიდრე ეს ჩვენ ცნობიერებაში ჩნდება შექსპირის კითხვის დროს. ეს დიდი პრინციპული მნიშვნელობის ფაქტია.

პროფესორი მ. მოროზოვი.

ჩვენ, ოტელოს როლში რომ განახეთ, გვინდა გადმოგცეთ ჩვენი აღფრთოვანება თქვენი საუკეთესო ტალანტის გამო და მადლობა მოგახსენოთ იმ უმაღლესი სიამოვნებისათვის, რომელიც თქვენ განგვაცდევინეთ. თქვენს მიერ შთაგონებით შექმნილი ეს სახე, უწვინდესი სიხარულის ეს საათები სამარადისოდ დარჩებიან ჩვენს მეხსიერებაში.

ო. ანიპერ ჩეხოვა, ო. ანდროვსკაია, მ. პრუდკინი, მიხ. კედროვი.

მხურვალედ მივესალმები შესანიშნავ საბჭოთა მსახიობს, ძლიერ სტიქიურ ტალანტს, პატრიოტსა და მოქალაქეს — აკაკი ხორავას.

იური ზავადსკი.

ვინ იცის, როგორი ენერგია, გრძნობა, გული და აზრია ჩაქსოვილი ამ დიდ შემოქმედებაში. აკაკი ხორავას, როგორც ხელოვანს, ყოველთვის მაღალ მწვერვალზე ვხედავ. იალბუზს ორი მწვერვალი აქვს, მაგრამ ორივეს საფუძველი დედამიწაა. ასევე, აკაკი ხორავას შემოქმედებით მწვერვალთა საფუძველია საბჭოთა სინამდვილე, ხალხთან განუყრელი კავშირი, სოციალისტური რეალიზმის მეთოდზე დაყრდნობა, დაუცხრომელი ბრძოლა ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობისათვის.

პავლო ტიჩინა.

ხორავა დიდი ტრაგიკული აქტიორია. მოსკოვის გასტროლებში იგი თამაშობს ივანე მრისხანეს, ოტელოს, არმიის გენერალ მურავიოვს. მისი ვენეციელი მავრი შექსპირის ტრაგედიიდან მუჭი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულს ჰგავს, მისი ივანე მრისხანე — ჭეშმარიტად დიდი ხელმწიფეა. გენერალ მურავიოვის როლის შესრულებით ხორავამ გვაგრძნობინა თავისი ოსტატობისა და ტალანტის მთელი ძალა. აქტიორის თამაშში იგრძნობა გარეგანი უბრალოება, უესტიმიკის სიძუნწე და ლაკონიურობა, აზრის ენერგიული გამახვილება, დაძაბვა.

ნიკოლოზ ვოლკოვი.



სურათებზე: ზემოთ — **აკაკი ხორავა** და ლუი არაგონი (გადაღებულია პარიზში); ქვემოთ, სხედან—მ. შოლოხოვი, თ. ბირკაძე, ი. ერენბურგი, ი. მოსკვინი; დგანან — ნ. მუსხელიშვილი და **აკაკი ხორავა**. 1937 წელი, ქ. მოსკოვი.

ხალხური მარგალიტები

ახალი ჩანაწერებით გამდიდრდა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკალური ფოლკლორის კაბინეტის ფონოთეკა. საზაფხულო ექსპედიციებიდან დაბრუნდნენ ქართული ხალხური სიმღერების შემგროვებელნი. ერთი ჯგუფი, რომელსაც მუსიკისმცოდნე ო. ჩიჯავაძე მეთაურობდა, იყო ჩოხატაურის რაიონში — უნიკალური ძველებური სიმღერების კუთხეში. ჯგუფმა ჩაიწერა სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები. ზოგიერთი ეს ნაწარმოები შევა „ქართული ხალხური სიმღერების“ მეორე ტომში, რომელსაც დასაბეჭდად ამზადებს ო. ჩიჯავაძე. პირველ ტომში, რომელიც უკვე გამოვიდა, შეიდა კახური სიმღერები.

ფოლკლორისტები, რომლებსაც კონსერვატორიის უფროსი პედაგოგი მ. ყორდანია ხელმძღვანელობდა, იყვნენ ლეჩხუმსა და ზემო სვანეთში. მუსიკალური ფოლკლორის კაბინეტის გამგემ კ. როსებაშვილმა მთათუშეთში ჩაიწერა საწესჩვეულებო სიმღერები, რომელთა შორის არის სამგლოვიარო სიმღერა „დალა“, აგრეთვე მუსიკა, რომელსაც სალამურზე, ჭიანურზე და გარმონზე უკრავენ. ჩაწერილია აგრეთვე ახალი სიმღერები, რომლებიც ჩვენს თანამედროვეობას ეძღვნება.

კაბინეტში დაახლოებით 2.500 ხალხური სიმღერა და მათი ვარიანტი ინახება. ახლა ფოლკლორისტი მუსიკოსები ფონოგრაფიდან მაგნიტოფონის ლენტზე იწერენ ხალხურ სიმღერებს, რომლებიც თავის დროზე ზ. ფალიაშვილმა, დ. არაყიშვილმა, ზ. ჩიკვაძემ და სხვებმა ჩაწერეს. გათვალისწინებულია ექსპედიციები მოეწყოს სამხრეთ საქართველოს რაიონებში.

კონსერვატორიაში მოეწყო სამეცნიერო სესია, რომელიც მუსიკალური ფოლკლორის საკითხებს მიეძღვნა.



„ცეკვა სამაია“. ჰედურობა ი. ოჩიაურისა.

ქართველ მხატვართა სტუმარი

მწერა. ქართველი მხატვრები დიდი სიხარულით შეხვდნენ თვალსაჩინო პოლონელ მოქანდაკეს, გდანსკის სახვითი ხელოვნების უმაღლესი სკოლის პროფესორს სტანისლავ გორნოპლავსკის. ისინი შეხვდნენ მას არა მარტო როგორც გენიალური პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის ცნობილი ძეგლის ავტორს, არამედ როგორც თანამემამულესაც. სტანისლავ გორნოპლავსკი შთამომავალია პოლონელი რევოლუციონერისა, რომელიც მონაწილეობდა 1863 წლის აჯანყებაში და კავკასიაში გადმოასახლეს. იგი დაიბადა ქუთაისში და აქ კარგა ხანს ცხოვრობდა. 1914 წლის იმპერიალისტური ომის დასაწყისში იგი მშობლებთან ერთად წავიდა პოლონეთში, მაგრამ ცნობილ პოლონელ მოქანდაკეს მუდამ ახსოვდა საქართველო, რომელიც თავის მეორე სამშობლოდ მიაჩნია.

სტანისლავ გორნოპლავსკის ნაწარმოებები ფართოდ არის ცნობილი არა მარტო პოლონეთში, არამედ ჩვენს ქვეყანაშიც, მისი ნაწარმოებები ექსპონირებული იყო 1961 წელს მოსკოვში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე. ქართველმა მხატვრებმა სთხოვეს მას მოაწყოს პერსონალური გამოფენა თბილისში.

პოლონელმა მოქანდაკემ დაისვენა გაგრაში საქართველოს სამხატვრო ფონდის აგარაკზე.

სამკურნალო მცენარე

ახალციხე. ამას წინათ ახალციხის რაიონში აღმოაჩინეს ძვირფასი სამკურნალო მცენარე „თავყვითელა“. მისგან მზადდება პრეპარატი პლატიფილინი, რომელიც გამოიყენება გულის ასთმის, კუჭის დაავადებას და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქობულეთის სამკურნალო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობის ბრიგადამ აქ უკვე დაამზადა 130 ტონა „თავყვითელას“ ფესვები, რომლებსაც ახმობენ და ფქვავენ ახალციხეში.

◆

ვერტმფრინავით

ჰიათურა რაიონის სოფელ მოხვაში აშენებს კაშხალს. აქ შეკრეს აუზში დაგროვდება დიდძალი წყალი, რომლითაც ჰიათურის მაღაროები მომარაგდება. იმის გამო, რომ შეუძლებელი იყო დაშორებულ სამშენებლო ობიექტზე საჭირო მასალების ტრანსპორტირება, გადაწყდა მათი გადაზიდვა მოწყობილიყო ვერტმფრინავებით. პირველმა ვერტმფრინავმა პირველი ხუთი კუბური მეტრი ბეტონი მიიტანა კაშხალის მშენებლობაზე. თვითეულ რეისს ვერტმფრინავი ანდომებს შვიდ-რვა წუთს და თითქმის 22-ჯერ ამცირებს ტვირთის გადატანის დროს ავტოტრანსპორტთან შედარებით.

მუსიკის ნორჩი მოყვარულებისათვის

ვის არ ახსოვს პატარა გლეხის ბიჭუნა ქაჯანა. კომპოზიტორმა მერი დავითაშვილმა დაამთავრა ოპერა, რომელიც ნიკო ლომოურის ამ მოთხრობის მიხედვით არის დაწერილი. ამ პოპულარული ნაწარმოების გმირებს ბავშვები მალე ნახავენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე.

მერი დავითაშვილი ბავშვების საყვარელი მრავალი ნაწარმოების ავტორია. ამას წინათ მან დაწერა მუსიკა მულტიპლიკაციური ფილმი „სათაგურისათვის“. ახლა კომპოზიტორი მუსიკას წერს მეორე მულტიპლიკაციური ფილმისათვის — „როგორ წარმოიშვა სახლი“. ამ ნაწარმოების სცენარი ნოდარ დუმბაძეს ეკუთვნის.

ახალი ნამუშევრებით გაახარებენ პატარა მსმენელებს ქართველი კომპოზიტორები. ვალერიან ცაგარეიშვილმა დაწერა ოპერა „სულელი თაგუნა“ ს. მარშაკის ზღაპრის მიხედვით. ოპერას დასადგმელად ამზადებენ ქალაქ ცხაკაიას საშუალო სკოლის მოსწავლენი. საბავშვო ოპერას წერს აგრეთვე ქეთევან თუმანიშვილი.

ბავშვებმა მიიღეს გ. კოკელაძის, ა. ფარცხალაძის, მ. დავითაშვილის, დ. ჩხეიძის სიმღერების კრებულები. ახლა რესპუბლიკის მუსფონდი უშვებს საბავშვო სიმღერების დიდ კრებულს, რომელშიც ორასამდე ნაწარმოები შევა.

იმისათვის, რომ უკეთ გაერკვეს, თუ როგორი მუსიკა უყვართ ნორჩ მსმენელებს, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საბავშვო მუსიკის სექცია სისტემატურად აწყობს ბავშვებთან შეხვედრას. ხშირად კომპოზიტორები ესწრებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუსიკის გაკვეთილებს.

შეხვედრა

გერმანელ ტურისტთა ჯგუფი ბათუმის ნავსადგურში სეირნობდა. უცებ ბათუმის მცხოვრები, № 5 სამშენებლო ტრესტის ელექტრიკოსი გიორგი მარტინენკო ერთერთ ტურისტთან მივიდა და მხურვალედ გადაეხვია მას. ეს იყო გერმანელი ტურისტი ჰარი კუნი — ჟურნალ „საგარეო პოლიტიკური ინფორმაციის“ რედაქტორი. ოცი წუთის შემდეგ ნავსადგურში სირბილით შემოიჭრა აჭარის კავშირგაბმულობის საოლქო კვანძის საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსი იერემია თავაძე.

ასე შეხვდა 20 წლის შემდეგ სამი მებრძოლი მეგობარი. ძალზე საინტერესო იყო მათი შეხვედრა. მოგონებები, ცრემლები. მათი მეგობრობა ბუხენვალდის სიკვდილის ბანაგში დაიწყო. სამი მეგობარი სხვა პატრიოტებთან ერთად ემზადებოდა გადამწყვეტი შერკინებისათვის. ჰარი კუნი ხელმძღვანელობდა პატიმართა სამხედრო-პოლიტიკურ მომზადებას. მათ შორის პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა იერემია თავაძე. საბრძოლო იარაღს ინახავდა გიორგი მარტინენკო.

გერმანელმა მეგობარმა გიორგისა და იერემიას გააცნო მეუღლე მარიამი, რომელიც ომის წლებში აგრეთვე გერმანელთა საპყრობილეში ატანჯებოდა. ჰარი კუნი და მისი მეუღლე ესტუმრნენ ბათუმელ მეგობრებსა და მიიწვიეს ისინი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

იოსებ ნონეშვილი

შემოდგომა თბილისში

შემოდგომას სულ პირველად
რუსთაველზე გაიგებ,
ჭარი ფოთლებს, ჭადრის ფოთლებს
გაშლის, ფეხქვეშ გაიგებს.
მოვარდება კახეთიდან,
ვით ფეხმარდი მოამბე,
ღვინისა და ხილის სურნელს
თბილისშიაც მოაფენს.
შეჩერდება მოქალაქე,
მოსდის ელეთმელეთი.
იტყვის: ალბათ ღვინის სუნით
სუნთქავს მთელი ხმელეთი...
და მახლობელ ბაზრის კარებს
შეხსნის ფიქრით გართული,
რომ იხილოს თავის თვალით
შემოდგომა ქართული.
არიგებულ, ჩარიგებულ
დახლებსა და ყაფანზე
ყველა თავის შრომის ნაყოფს
და მოსავალს აფასებს.
შემოსულა შემოდგომის
დოვლათი და ბარაქა,
მოიელხინოს, გაიხაროს
მთელმა თბილის-ქალაქმა.
ღვინის ზღვა და ხილის რიყე
ხალხთა ქება ნამდვილი.
ჭარი უცხო ფრინველივით
მოფრიალეე მანდილი.
ყაფანებთან ანათებენ,
ვით ვარსკვლავი დარისა,
ქერა გოგო პირიმზისა,
თეთრი პირიმთვარისა.
მარჯვნივ ბზინავს ფორთოხალი,
მარცხნივ ვაშლის მთებია
და ტიკები ლოთებივით
ბოძებს მიჰყუდებიან.
იქ კი, სადაც ყვითელ კომშებს
და ჩურჩხელებს ჰყიდიან,
ალაზნის პირს დახოცილი
დურაჯები ჰკიდია.
— ჩემი ღვინო სხვას არ სჯობდეს,
მაშ შემირცხვეს სახელი! —
კარდენახულ ღვინოს აქებს
ბიჭი კარდენახელი.
იმერელი ცდილობს შენს გულს
ტკბილად დაეპატრონოს:
— ნუ იყიდი, მარტო გემო
ნახე ჩემო ბატონო!
ყურძენს აქებს ხიდისთავი,
წითელ ატამს — ატენი.
ირგვლივ ხილი,
შეძახილი,
ქების კორიანტელი.
შემოსულა შემოდგომის
დოვლათი და ბარაქა,
მოიელხინოს გაიხაროს
მთელმა თბილის-ქალაქმა.
შემოსულა შემოდგომა,
ქუჩებსა და მოედნებს
მოშრიალე ხის ფოთლები
ფრთოსნებივით მოედნენ.
შემოდგომის ქარი ჰქრის თუ
გაზაფხულის დარია?
ლამაზები სეირნობენ,
განა მართლა ქარია?
მარჯნის ფერი, ქარვის ფერი
ქარმა ერთად არია.
ეს კაბების შრიალია,
განა მართლა ქარია?
მზეც ღრუბლების გალავანზე
ლაღად გადმომდგარია.
სიყვარულის სიმღერაა,
განა მართლა ქარია?
შემოსულა შემოდგომა
დოვლათით და ბარაქით
და მასპინძლობს ხელგაშლილი
მთელი თბილის-ქალაქი.

სპორტული მიმოხილვა

□ პირველი საერთაშორისო. □ ტალ-სპასკის მატჩის ირგვლივ. □ სტუმრად ირანში □ ფეხბურთის მინდვრებზე

თბილისში დამთავრდა პირველი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც ევროპის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის გროსმაისტერები და უძლიერესი ოსტატები გამოდიოდნენ. თვრამეტმა მოჭადრაკემ მოიყარა თავი ტურნირზე, რომელიც სამი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ტურნირში თავიდანვე დაწინაურდნენ გროსმაისტერი რ. ხოლმოვი, რუმინელი საერთაშორისო ოსტატი ბ. შოოში და საქართველოს ჩემპიონი ოსტატი ბუხუტი გურგენიძე. ეს ტრიო მეექვსე ტურამდე ლიდერობდა, შემდეგ კი წინ ბ. გურგენიძე გაიჭრა და თერთმეტი ტურის შემდეგ ორი ქულით უსწრებდა უახლოეს მეტოქეს. მხოლოდ ერთი დამარცხება განიცადა საქართველოს ჩემპიონმა ჩვიდმეტი ტურის მანძილზე და 12 ქულით დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. ეს საშუალებას აძლევს ბ. გურგენიძეს საერთაშორისო ოსტატისათვის დაწესებული ნორმატივი შეასრულოს. ადრე მან ჩეხოსლოვაკიელ ლ. პორტიშთან ერთად პრაღის ტურნირში პირველი-მეორე ადგილები გაიყო.

წარმატებას მიაღწია მეორე ქართველმა მოჭადრაკემ ახალგაზრდა მზარდმა ოსტატმა რომან ჯინჯიხაშვილმა. უკანასკნელ ხუთ ტურში მან აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა — ხუთივე პარტია მოიგო (!) და 11 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილი ხვდა ცნობილ საბჭოთა გროსმაისტერს რ. ხოლმოვს (10,5 ქულა), მეოთხე ადგილი დაიკავა გროსმაისტერმა ა. ლილიენტალმა (10 ქულა), მეხუთე-მეექვსე ადგილები გაიყვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა საერთაშორისო ოსტატებმა ვ. პიტჩმა და რ. ფუჩსმა (9,5-9,5 ქულა), 9 ქულით მეშვიდე რუმინელი საერთაშორისო ოსტატი ბ. შოოში იყო.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია, ჭადრაკის მოყვარულები გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ყველა პირობა ჰქონოდათ მათ თამაშისა და დასვენებისათვის. უცხოელებმა ლექციებით და ერთდროული თამაშის სეანსებით გამოდიოდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

კარგი ტრადიცია შეიქმნა. საქართველოში უკვე სისტემატურად ტარდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ახლა კი დასაბამი მიეცა ვაჟთა ტურნირს, რომელიც ამიერიდან ცნობილი იქნება საჭადრაკო სამყაროში.

ჩვენში ძალიან უყვართ ჭადრაკი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მსოფლიოს ჯვირგვინის პრეტენდენტმა მ. ტალმა და ბ. სპასკიმ თბილისი აირჩიეს სათამაშოდ. ჩვენი ქალაქის მცხოვრებნი ისეთ ინტერესს იჩენენ ამ საინტერესო მატჩისადმი, რომ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზმა ვერ დაიტია ყველა მსურველი და შეჯიბრების ორგანიზატორები იძულებულნი იყვნენ თხოვნით მიმართათ რუსთაველის სახელობის თეატრის დირექციისათვის, რათა კვირაში სამჯერ დიდი დარბაზი მოჭადრაკეებისათვის დაეთმოთ. გულშემატკივართა პრობლემა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც იქნა გადაჭრილი.

დღეისათვის ტალ—სპასკის მატჩის ანგარიშია 2,5 : 2,5. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გულშემატკივართა უმრავლესობას ტალის გამარჯვება სწადია.

საბჭოთა კალათბურთელთა ნაკრები ბრაზილიას გაემგზავრა შვიდი ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. გუნდის შემადგენლობა თითქმის მთლიანად გადახალისებულია, თუმცა „ვეტერანებიც“ არიან — თბილისელები ზურაბ საკანდელიძე და ამირან სხირელი.

ჩვენი ქვეყნის თავისუფალ მოჭიდავეთა ნაკრები საპასუხო ვიზით ეწვია ირანს. ამ გუნდების შეხვედრები ყოველთვის მაღალ დონეზე ტარდება და უდიდეს ინტერესს იწვევს. ჩვენს ნაკრებში ქართველი მოჭიდავეებიც არიან. ესენია საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ზ. ბერიაშვილი, გ. საღარაძე, შ. ლომიძე. პირველი შეხვედრა ირანის ნაკრებთან ფრედ 4 : 4 დამთავრდა. მეორე შეხვედრა, ისევ ირანის ნაკრებთან, საბჭოთა მოჭიდავეებმა მოიგეს 5,5 : 2,5. წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს — ბერიაშვილმა, საღარაძემ, გურევიჩმა და ლომიძემ.

დასასრულს უახლოვდება საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში. ორ-ორი თამაში დარჩათ გუნდებს ჩასატარებელი. გასული წლის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ მხოლოდ მეხუთე ადგილისათვის იბრძვის. რაც შეეხება ჭუთაისის „ტორპედოს“, მან უნდა დასტოვოს „ა“ კლასი. თუმცა ჭუთაისელები განსაკუთრებული აღმავლობით ატარებენ უკანასკნელ თამაშებს. ასე, მაგალითად, მათ მოუგეს კიევის „დინამოს“ (1 : 0) და თითქმის ყველა იმედი დაუკარგეს უკრაინელებს. კიევის „დინამო“ ჭუთაისში მატჩის წინ ერთი ქულით უსწრებდა თავის ძირითად მეტოქეს მოსკოვის „ტორპედოს“. წაგების შემდეგ კი როლები შეიცვალა. პრესამ მატჩის შედეგს სიურპრიზი უწოდა, თუმცა აქ გასაკვირი არაფერი იყო. ავტოქარხნელები მართლაც ძლიერად თამაშობენ თავის მოედანზე.

რამდენიმე დღის შემდეგ მათ ჭულა წაართვეს ბრინჯაოს მედლის პრეტენდენტს როსტოვის სკა-ს (2 : 2), შემდეგ კი ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ოდესის სკა. ეს ყველაფერი რასაკვირველია კარგია, მაგრამ სეზონის დასაწყისში რომ ეთამაშათ ასე, გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

ო. ლორთქიფანიძე.

„დარაჯი“ ავტომატი

ავტომატური დარაჯი შექმნეს ლისის სამეცნიერო-საკვლევ ელ ტექნიკურ ინსტიტუტში. ეს ავტ განკუთვნილია იმისათვის, რომ ავლინოს დენის მიმართულების თრი ცვლილებანი ელექტროენე გარდამქმნელებში.

დენის გარდაქმნის პროცესში გეტიკულ მანქანათა ელექტრულ დებში ზოგჯერ წარმოიქმნება ნები. ეს დენები ეჯახებიან სხვ შირისა და ძაბვის შქონე ენერგი რითად ნაკადს და იწვევენ თავს ელექტრულ ქარიშხალს, რომ გავლენას ახდენს გარდამქმნელის ლი აპარატურის ნორმალურ მ ბაზე.

ინჟინრების ა. სარალიძისა და რემიდის მიერ შექმნილი კომპაქ ხელსაწყო უმალვე აუწყებს სპ ლისტებს შექნიშნებით ელექტ წრედებში შექმნილ უწესივრო ეს საშუალებას იძლევა დროზე ასწორონ დაზიანებანი.

კომპაქტური ხელსაწყოს მოწყ ლობა მარტივია. იგი შედგება წოდისა და სასიგნალო ბლოკი იმპულსების გადამწოდს უერ საკონტროლო დენსადენს. სადე სისტემით იგი შეერთებულია სას ლო ბლოკთან, რომელიც იდგმება ვალთვალოდ მოსახერხებელ ადგ მაგალითად, საბჭოთა ელმავლებ სიგნალო ბლოკი დამონტაჟებულ მანქანის კაბინაში. იგი ნათურ ციმით აუწყებს მემანქანეს უწესი ბებს. თუ ხელსაწყოს მივუმატ სწრაფმოქმედ რელეებს, სიგნალიზ რი შეიძლება გამოვიყენოთ იმისა რომ ძალური დანადგარები დავ ავარიული უკუდენებისაგან.

ავტომატმა სიგნალიზატორმა მატებით გაიარა ლაბორატორიულ ხანგრძლივი საწარმოო გამოცდა თავის მეტალურგიული ქარხნის მართველ ქვესადგურში.

◆

პირველად თბილისში

ამ დღეებში თბილისის ვ. ი. ნის სახელობის ელმავალსაშე ქარხნის კოლექტივის ყურადღება ქრობილია ექსპერიმენტული საამ სადი. აქ მთავრდება საბჭოთა შირში პირველი ცვლად დენზე ჟუშავე სამგზავრო ჩქარი ელმა შექმნა.

ორი მძლავრი წევის ძრავა ამ ნებს ოთხ გოგორწყვილს ისეთი ქარით, რომელიც მატარებელს სა ლებას მისცემს საათში განავით 160 კილომეტრი. ამჟამად მთავრ მეორე ძრავის აწყობა. დამთავრდა ნაგანი მაღალი ძაბვის აპარატურ ის განმართველების დამონტაჟ მემანქანის კაბინების მოწყობა.

ელ-40 სერიის ელმავალში ინ ბა მთელი რიგი ტექნიკური სიახ ნი. ეს არის შემსუბუქებული კო რუქციის პანტოგრაფები, რომლ შეუძლიათ დენი მიიღონ საკონტ ადენისაგან დიდი სიჩქარის ელექტრომართვის პნევმატური აპ მუხრუჭი უზრუნველყოფს ელმა სწრაფ და ნარნარ დამუხრუჭებას.

ექსპერიმენტულ საამქროში დამ ახალი ტიპის მეორე ლოკომოტ მონტაჟი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე—50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.